

1 მაისს გაუშარჯოს
 მზრომელთ ხელი მომხარჯვოთ!

ქვეყნის მზრომელთა
 ბრძოლის დღე მოდის.
 ბურჟუაზია
 ვერ უძლებს ლოდინს.
 და ვინც მონობის
 უღელში გმინავს.
 შურის ძიებით
 ავსილი გრგვინავს:
 უნდა მოისპოს
 ქვეყანა ძველი.
 უნდა დაემზოს
 მყვლეფელთა სროვა.
 შრომის ლაშქარო
 დროშები მაღლა.
 ჯალათებს დაცეთ
 შიში და გლოვა!
 მთელი ქვეყნისა
 პროლეტარებო,
 მოსისხლე მტერთან
 გაემართოთ ბრძოლა!

ამხანაგებო!
 დროშები მაღლა.
 მძიმე უღელს ქვეშ
 არ გვინდა ძრწოლა,
 გუგუნებს მიწა.
 ბურჟუაზია
 ზარდაცემული
 კანკალებს შიშით,
 უნდა მოისპოს
 მთელ ქვეყანაზე.
 ყველა მყვლეფელთა
 მოდგმა და ჯიშის
 უნდა მოისპოს
 ოქროს მეფობა
 რომ აღარ იყოს
 ქვეყნად მშეერი.
 მოდის, მსოფლიოს
 უახლოვდება,
 დიდი ოქტომბრის
 ცეცხლი ძლიერი!

Библиотека Академии наук
 Ака. И. Ершов

12 696
 27

„წმინდანები“

ლაშქარში ვაჭარსა და ღვინოსა ერთად უყვარს. სამი უცნობი პირი რაღაც ფულს ფულსა. ერთი შუშის ნაჭრებს ნაყავს, მეორე აგურს, მესამე მათ მიერ დანაყვლილ ფხვინოს ერთმანეთში მალამოსავით ზელავს და ჩიტის კვერცხებით არგვალვებს.

— კაცები უკვე გაგზავნეთ სოფლებში?

— რამდენი ხანია! მთელი მხარე ექნებათ შემოვლილი!



— აბა შენ იცი, თუ ძმა ხარ, არ შეგვარცხენო. ნამდვილი წმინდანის ქცევა და ლაპარაკი უნდა გქონდეს!

ჩურჩულთ საუბრობენ უცნობები და „ჩიტის კვერცხებით“ ავსებენ ტომარებს.

— დროა შეგუდგეთ საქმეს! ჩილაპარაკი გრძელ წვერიანმა და ხელდახელ გაიძრო გრძელი ახალისი. მან შიშველ ტანზე იწყო რაღაც შავი საღებავის წასმა, სახე შეითხუნა ყვითელი ფერით, თვალები ჩაიშავა და მცირე ხანში სრულიად შეიცვალა გარეგნობა.

— აი ბარაქალა, ყოჩაღ! სწორედ საფლავიდან ამდგარს გეგხარ! — მიახანა ამხანაგმა და ტანზე გრძელი თეთრი წამოსახამი მოახვია...



მეორე დღეს ჯერ კარგად გათენებული არ იყო, რომ შამხორის მახლობელ სოფლებს უცნაური ამბავი მოეფინა. მთელი მოსახლეობა, დიდი და პატარა ლაპარაკობდა უცნაურ „წმინდანზე“, რომელიც ვითომ სიჭიქიდან მოვიდა და „ღვთის ძალით“ კორნავს უოვედლბარი ავადმყოფს: ბრძას — თვალებს უხელს, უფეხოს — თხს აბამს, ყრუს — სმენას აძლევს!...

შამხორის მახლობლად, ერთ პატარა გამურში ხელდახელ „მორწმუნეთა“ ოჩერედი გაიძროთა. ხალხი მოდიოდა სოფლებიდან და ქაღალაქებიდან.

მოდიოდნენ სნეულები და ცნობის მოყვარენი.



„წმინდანი“ ხმას არ იღებდა. მხოლოდ თავისთვის ბუტბუტებდა რაღაცას. შემდეგ სნეულს რაღაც ჩიტის კვერცხის მზგავს მოწითალო ქვეს აძლევდა, რომლის ნაფხვენი უნდა დაეღლია მას ყოველ დღით მზის ამოსვლამდე. რაც შეეგება განკურნებას, ის ყველასთვის ერთსა და იმავე დღეს მოხდებოდა, „წმინდანის“ საიღუმლო ძალით.

— თუ „წმინდანი“, ამდენ ფულს რისთვის იღებს? — კითხულობდნენ მომსვლენი.

— ეს იმიტომ, რომ ყველა რჯულის ხალხს თითო ტაძარი უნდა აუგოს!

მოკითხვა ფოთიდან

ყური დამიგდე ერთ წუთას მოგიყვე ფოთის ამბავი — გვაქვს ზოგან ნაკლი, სისუსტე, შემთხვევა კბოლ - გასაკრავი... ჯერეთ ვესტუმროთ ფინგანსა, — აქ ვახალავთ მიშა ბრძენია... ოანამშრომლებზე ყვირილით ენა რომ წაგრძელებია. ერთს იღებს, მეორეს უშვებს, — უმწარა ყველას ბედი! თუ ვინმემ ხმა ამოიღო, ვაი იმისი დღენია... ველოსიპედი იყიდა, ზედ მიაყარა სამასი, ჯერეთ მის შეკეთებაზე დახარჯულია ათასი. აქვე ბრძანდება ტოლია, გვარი აქვს გეგეჭკორია, კომკავშირელი არის და ნუ თუ არაფრის რცხენია?! სიმულიანტობს, ყოყოჩობს, საქმე აქვს არეულია, სხვას რევიზორობს, ასწავლის, თიონ კი დაბნეულია. სალაში კუჭუტარია, სახელად კიდევ იერემსა! რააც მე ეხლა ვამბობ, სჯობს ნულარ იზამს ეგენსა: — თავს უყრის ყველა ლამაზ ქალს და გზავნის სამსახურშია, მუშები — საქმის მკოდენი ჩამდგარან იმათ შურშია!

ჟანელი.

ქრისტიანებს ეკლესია, მაჰმადიანებს მეჩეთი და სხვა... — უპასუხებდნენ „წმინდანის“ მზლულები.

გომურის ეზოში ავადმყოფების კენესა და ტირილი არ სწყულებოდა. ამხანაგები შეგროვილ ფულს ყოველ ღამეს აბარებდნენ „წმინდანს“. ეს თანხა შემდეგ თანაბრად უნდა გაეყოთ.

ერთ დღეს „წმინდანმა“ გამოაცხადა, რომ ვინც კი მიიღო მისგან მოწითალო ქვა, ხვალ ყველა განიკურნება...



ლამე იყო. ყველას ეძინა. ეძინათ „წმინდანის“ ამხანაგებსაც. თეთრ წამოსახამიანი კაცი ფრთხილად გამოვიდა ეზოში, აარჩია რომელიღაც ავადმყოფის უკეთესი ცხენი და ხელდახელ ზურგზე მოახტა...

მეორე დღეს ავადმყოფები უარეს ტკივილს გრძნობდნენ. „წმინდანის“ ამხანაგები რაღაცას ეძებდნენ, მაგრამ ეტყობოდა უშედეგოდ.

— „წმინდანს“ დაუძახეო! — რა იქნა „წმინდანი“... რა იქნა მისი დაპირება!... ხალხი მიესია მის ამხანაგებს... გაჩხრავეს გომურიც, სათიფევიც... „წმინდანი“ არსად იყო... ერთი ავადმყოფი ცხენს კითხულობდა, იმ ღამეს მოეპარა ვიღაცას.

„წმინდანის“ მოტყუებული ამხანაგები თავში იცემდნენ.

— შეხეთ, იმ ოხერმა ჩვენც რომ მოგვატყუა?!



— მოსცხეთ, არ გაუშვით! მოისმა ხმა...

— მოსცხეთ... მოსცხეთ!... მიეხვიენ მზლულებს და მიაყოლეს ვისაც რით შეეძლო... ზოგი ტიროდა, ზოგი ივიწებოდა, ზოგი იმუქრებოდა... ფულუბით ჯიბე გატენილი „წმინდანი“ კრტყეხე მიაქროლებდა მოპარულ ცხენს...

ისკანდერ.

დასამიწყდა



თუმცა ტანი აქვს პაწია,
დიდი ჭკვიანი კაცია.
საგაზაფხულო თესვისთვის
სწორედ ხარითვით გასწია.
ყველა მანქანა მოძებნა:
ტრაქტორი, გინდა ტრიერი.

შექმნა საქონლის რაზმებიც,
ზაღლარი, განა მშიერი!
ვაღაშაშა მინდორი
საგაზაფხულო ხნულებით.
თუ კი დასჭირდა საქმისთვის
სად არ მონახა ფულები..

მაგრამ თესვა რომ დაიწყო
მაშინ წაუხდა ფონია,
უნდა დათესოს საჩქაროდ,
თესლი კი არა შენია!
ზოგს თავში თურმე ტვინი აქვს,
ზოგს ცარიელი ქონია...

ტელეფონით ხეთაში

სადღური ხარ? შემაერთე ხეთასთან.. ხო, ხო, ხეთის თემდამსკომი მინდა! გმადლობ.. ხეთა ხარ? თავმჯდომარე ერმილე ოკუოგავა მინდა. შენ ხარ? იცოცხლე, გაგმარჯვოს! კაცო, როგორაა შეშის დამზადების საქმე? აი იმაზე გელაპარაკები, ალექსანდრე მელიასთან რომ პირობა დასდევით.. ხო, შე ვაცო! ამბობენ ამ საქმეში ვიღაც არზიანი ჩარეულა და ჩარჩული პოლიტიკა დაუწყია.. მან მანეთათ გლენებისაგან შეიძინა საუენი, მელიას კი მანეთათ შესთავაზა. არზიანმა იმდენი ილღიტაო, — სე ამბობენ, შენ ნუ მომიკვდები—რომ გლენები აადლევა კიდევო. ვინაა ეს არზიანი, რომ დარევია გლენებს და მუშტი-კრივიც გაუმართავს? ღონე ერჩის იმ ვაჟკაცს? ამბობენ, მელია ბოლოს იძულებული გახდა ძვირფასებში შეეძინა შეშა არზიანისაგანო.. მართალია? ასე ყოველად შემძლებელი კაცია ის არზიანი? არ იცი? გაგიგ ჩემო ერმილე და შემატყობინე.. ხეთა! ხეთა! გაწყდა ეს ოხერი ხაზი! რაღა მაშინ გაწყდა, როცა იმის ვაგება მინდოდა, რომ ბურ-მარილში ხომ არ შემოხარჯვია რამე არზიანს?!

საშინელი.

გაუგაუ-გლევი

ქუთაისის განათლების განყოფილების მუშა-მოსამსახურენი და სოფლებიდან ამ განყოფილებაში საქმეზე მისული გლენები საჩქაროდ ესაჭიროებთ საქმეთა მმართველის ნიკოლაევს გან თავდასაცვად შემდეგ იარაღ - მოწყობილობებს:

- 1.—გვესაჭიროება ფარი ნიკოლაევს მუშტების ახაშორებლად.
- 2.—სქელი ვაჟკე დასაბმელად რაიც აუცილებელი ხდება მისი განრისხების დროს.
- 3.—ყურის ზარბანის დასაცავი მოწყობილობა, რომელშიაც ვერ გააწევს ნიკოლაევს ყვირილი.
- 4.—საკუთარი სასწრაფო და მარტების ავტომობილი, რადგან საქმეთა მმართველთან შეტაკების დროს ყოველ დღეა ვინმე თავგატხილი.
- 5.—საჭიროა აგრეთვე ქუთაისში მოეწყოს ტელეფონის მოწყობილობათა დამამზადებელ ქარხნის გახსნა, რადგან მუდამ გულმოსული ნიკოლაევა ყოველ დღე ამტკირებს „ტრუბკებს“.

გაკვირვებულნი.

კოოპერატორის „ათი მცნება“

- I. ნუ გაოლანგავ, ვინაიდან გაფლანგვა სახელმწიფო ქონების გადაყლაპვას უღრის.
- II. ზომი-წონაში ნუ დააკლებ, რათა სიცოცხლის დღენი არ დაგაკლდეს შენ.
- III. პატივი ეც მომხმარებელსა შენსა, ვითარცა თავსა შენსა.
- IV. სამსახურში ნუ მიიღებ ახლობელსა შენსა, ვინაიდან სისხლი-სისხლ და ხორცი - ხორცილად არს.
- V. წარამართ „კამანდროვკაში“ ნუ ივლი, რათა შემთხვევით უბედური შემთხვევა არ შეგემთხვევს შენ.
- VI. კერძო ვაჭრებთან კავშირს ნუ დაიჭერ, რამეთუ ისანი მაცდურ არიან.
- VII. შეიყვარე მრევლი შენი, ვითარცა მრევლმა შეგიყვაროს შენ.
- VIII. ყველაზე ერთნაირად იაფად გავეცე საქონელი, როგორც აძლევ ნათესავთა შენთა.
- IX. გასწიე ხელმომჭირნობა და არა ხელმრულობა, და
- X. ყოველთვის გახსოვდეს, რომ კოოპერატორი საწველი ფული არ არის.

საქმის კაცი

დავლიანე კონო თავმჯდომარეობს ერწოს. ასეთი საქმის კაცი მხოლოდ ჩვენს მტერსა ერგოს! ჩარჩებთან, კულაკებთან ისეა, როგორც ქმასთან, გლუხს კარებიდან აგდებს, ვერაფერს მიღის მასთან. გლეხკორებს შურობს ძლიერ, შოლტ-კორიც ეჯავრება. კოლექტივები სოფლად უმატრონოთა რჩება.

ხეცსურიშვილი.

„საერთო წესი“

ქიზიყის ერთი თვალსაჩინო სოფელთაგანია ნუკრიანი, რომელიც განთქმულია ჯორების ქარავანით.

წარსულ დღეებში ამ სოფელში შესდგა სასოფლო ყრილობა. ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე ამხ. ლევან დანიელაშვილი. დიდხანს ილაპარაკა, თავისი მჭერმეტყველი ენით მოხიბლა მსმენელები და ის იყო სიტყვას ამთავრებდა, რომ ვიღაცამ მიაძახა:

— ყველაფერი კარგია, მაგრამ წისქვილი რომ უმატრონობით ოხრდება, რატომ ყურადღებას არ აქცევთ?


— ამხანაგებო, — განაგრძო ენაწყლიანი ლაპარაკი დანიელაშვილმა, — მე მაკვირვებს ამხ. იოსების ლაპარაკი. ჯერ ერთი, რაც მაგისი საქმე არ არის, იქ ერევა, მეორეც ისა, რომ იოსებს უნდა საერთო წესები დაარღვიოს. სირცხვილი შენ, ამხ. იოსებ, რომ სოფლის მოწინავე გლახათ ითვლები და ეს საერთო წესები არ იცი. ამისათვის ეხლავე მოგახსენებ, თუ როგორია ეს საერთო წესები: წისქვილი თუ უმატრონობით ფუქდება, ამის შესახებ პირველად გლეხკორმა უნდა ამოიღოს ხმა და გაზუთში დაწეროს. აღმინისტრაცია ამის შემდეგ ვალდებულია მიიღოს ზომები და საქმე გამოასწოროს. შენ კი, ამხ. იოსებ, ამ წესებს გვერდი აუხვიე და ერთი ხელის დარტყმით მოინდომე ყველაფერი.

ხმა აღვილიდან: — რა საქირია გაზეთში წერილის დაბეჭდვა, როცა ამ საქმის მოგვარება ეხლავე შეიძლება?

— არა ამხანაგებო, — უპასუხებს დანიელაშვილი, — იმისათვის, რომ საქმე სანქაროთ მოეავაგროთ, საერთო წესებს ვერ დავარღვევთ.

გ—ხო.

მირზის მიჭრინავს!



ბრძენი გახლავთ ის. ხედავთ ოფიო სდის! საწარმოო გეგმაზე მფრინავივით წის. სხვარამ არ იცის, მხოლოდ გეგმას ქმნის.

გონია რომ საქმე ამით წინ მიდის. ქალღღების იქით არ აცილებს ცხვირს იქნებ იმის ბრალია რომ ტვინის სურღო სჭირს!

შეფები ქვედა-ხევეში

სოფელ ქვედა-ხევეს შეფები ესტუმრენ.

— გველისა! — ხარობდენ ქვედა-ხეველნი, — როგორც იქნა მოგვავონეს. ვიხოვო გავვიმარტონ სხვადასხვა საქირბოროტო საქითებნი!

შეფების ერთმა წარმომადგენელმა ორი საათი ილაპარაკა.

— ძალიან ღრმად კი ლაპარაკობს ეგ დალოცვილი, მაგრამ მაინც ვერაფერი გავიგეთ! — სთქვენს აქა-იქ გლახებმა.

პირველი მოლაპარაკე მეორემ შესცვლა.

— ქვედა-ხეველნო! — რიხიანად დაიწყო მან, — წინა ორატორმა ნათლად გაარკვია ის საქითებნი, რომელიც თქვენ განიტრერესებდათ. მე აიარ დაგლაღვით ლაპარაკით. მხოლოდ თქვენთვის უფრო მარტივ, უფრო გასაგებ სიტყვებით მოკლედ გავიმეორებ წინა ორატორის მოხსენების შინაარსს: ალარაა საქირო იმის პოპულიარიზაცია, რომ საქაროდ უნდა

მოხდეს წერა-კითხვის უტოლინარობის ლიკვიდაცია. თუ ჩვენს შორის იქნება კონსოლიდაცია. მალე ფრთას გაშლის ცივილიზაცია. საქირია მხოლოდ გონიერი რაციონალიზაცია და მშენებნი მოხდება სანატრელი რეკონსტრუქცია.

— ა? რაო? — ეკითხებოდენ ერთმანეთს გლახები.

— რაო და, ამ ჩვენ შეფს ჰქონდა ტვინის ლიტინიზაცია! — დაასკვნა ერთმა ქვედა-ხეველმა.

ბოლოს გლახებმა ასეთი დადგენილება მიიღეს:

— ჩვენ, სოფელ ქვედა-ხევის გლახებმა, მოვისმინეთ რა საშუალო კომისიის ბრძნული მოხსენება, დავადგინეთ: ვიხოვოს საბჭოს გამოსძებნოს ისეთი კაცი, რომელიც შესძლებს გავავაგებინოს ის, თუ რა სთქვენს, ან რისი თქმა უნდოდათ შეფებს!...

ხეველი.

„ხე ქეთილისა და გორგობისა“



ეს ხე სოფლის საბჭოა
ვაშლებით დაკიდული.
იმას სწყალობს, ვისაც აქვს
ქარ-მიდამო მდიდრული.

ვისაც აქვს ქონება,
ვაშლებს იმას უღაგებს.
ღარიბები არა სწამს,
ეხმარება კულაკებს.

დაწინაურება

სიღნაღის აღმასკომის თავმჯდომარე ახალი მოსული იყო, რომ ამ დროს ხუთი თუ ექვსი ქვემო-მახხანელი გლეხი მივიდა მასთან.

— რაშინა საქმე, რაზე გარჯილხართ? — ჰკითხავს თავმჯდომარე.

— დიდი სათხოვარი საქმე გვაქვს, შენი ქირიმი, დიდი.

ჩვენ სოფლიდან გამოგზავნილი კაცები ვართ, მთელი სოფლის დავალებით მოვსულვართ შენთან.

— აბა, მითხარით, რა საქმე გვაქვს?

— ჩვენი სათხოვარი საქმე ის არის, რომ ყველას რომ აწინაურებთ და ზოგს სად გზავნით და ზოგს სადა, ჩვენი სოფლის კაცი ჯერ არავინ დაგინაურებიათ და ეხლა მაინც იქნებ ჩვენც გვადირსოთ და დააწინაუროთ, დიდი თანამდებობაზე გადაიყენოთ სადმე.

— ვის შესახებ თხოულობთ, ვინ გინდათ რომ დაეწინაუროთ?

— ჩვენი კოოპერატივის ნოქარი ზაქარია ყაჯრიშვილი.

— როგორ, ნუ თუ თქვენ არ იცით ყაჯრიშვილის ამბები, რომელიც ფართალს მხოლოდ ღამაზე ქალებს და თავის ნათესაებს აძლევდა?! ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ მან ჩუმად თავის სიდედრს არბოშიკში ერთი თოფი სატინა გაუგზავნა?! ნუ თუ თქვენ არ იცით, როგორ ეტყობოდა გლეხებს და როგორი პანჩურით ესტუმრებოდა კოოპერატივიდან?! თქვენ კი მოსდისათ და ასეთი ბოროტმომქმედი კაცის დაწინაურებას თხოულობთ.

— როგორ არ იცით, შენი ქირიმი, ჩვენ უფრო მეტიც ვიცით და სწორედ იმიტომ ვთხოულობთ მის დაწინაურებას, რომ ჩვენი კოოპერატივი გადავარჩინოთ...

ღარ-მანდი.

ახალდაგელი მიწარა

სამკითხველოს გამგელ გვეყავს აქ გონცაძე ილია— არაფერს არ აკეთებს, შეუწყვარდა ძილია. სამკითხველოს კარები მუდამ დაკეტულია, ზარმაცობა ილოსთვის სიკოცხლზე ტკბილია. ასეთი მუშაკები სოფელს არა უნდია, კულტსტეკიცავე გაიღვიძე თვალს, ნუ გაკრავს ბინლია.

ახალდაგელი.

გამოწვევა შაჯიგრაგუნი

I.
მე, ქვედა-საზანოს ქობ-სამკითხველოს გამგე გიორგი არაბიძე, ვიწვევ შეჯიგრაგუნი სოფ. ზედა-საზანოს ქობ-სამკითხველოს გამგეს ბენიამინ ვაჭარაძეს. შეჯიგრაგუნის პირობები ასეთია:

1. ეხსნი სამკითხველოში ღლებულობის შემსწავლელ გრძელვადიან კურსებს. მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს ფოსტის მიღების დღეებში.

2. მოსახლეობის ფიზიკურად გაჯანსაღების მიზნით უნდა იქნეს შემოდებული წიხლაობა და ჯიკავი.

3. 1999 წლის დამლევითათვის ალაპარაკდეს რადიო-მიმღები.

4. გასუფთავდეს ქობ-სამკითხველო განეთებისაგან და წიგნებისაგან.

5. წელიწადში ერთხელ გამოვიდეს კედლის განეთი.

II.

მე, ზედა-საზანოს ქობ-სამკითხველოს გამგეს ბენ. ვაჭარაძეს ჭკუაში დამიჯდა ეს გამოწვევა და ჩემს მზრივ უმატებ შემდეგ მუხლებს:

1. მოეწყოს ქობ-სამკითხველოში კოლექტივის მოწინააღმდეგეთა საქორიკანო კუთხე.


2. მოეწყოს აქვე ეშმოსის გამსაღებელი პუნქტი და დალალების სათათბირო ოთახი.

3. მოეწყოს აგრეთვე სამაქანკლო რჩევა - ღარიბების მიმტეში ბიურა.

4. სამკითხველოში მუშაობა სწარმოებდეს 1 საათის დასვენებით დღის 10 საათიდან დღის 12 საათამდის.

მებთამრიდი.

როგელ სოფელშიც ასეთი ხელმძღვანელი?



— ჩემი ჭორები საჭირო აღარ არის... ისე უძღვები კოლექტივს, რომ შენს შე-
მხედვს გული ამიყვავილდა.. კუკლახარ, კუკლა!

ი შ ვ ი ა თ ი ა გ რ ო ნ ო მ ი

ნაგომრის აღმასკომში დიდი ფაცი-
ფუცია.

აღმასკომის თავმჯდომარე გახელე-
ბული ხარივით ამრიგად თვალს.
ისე გაბრაზებულია, რომ ვერავინ ეკა-
რება.

— რა ექნა ახლა მე? — უყვირის ის
შისთვის აკანკალებულ მდივანს — რა
პასუხი გეცე მზრას?

— არც მდივანმა იცის, რა პასუხი გას-
ცეს. ან რა უნდა უპასუხონ? მზრა
ითხოვს ცნობებს, თუ როგორაა თეს-
ლის შეგროვების საქმე. საქმე კი ისე
ქანდაკულათ არის, რომ...

— დაიცა! მოვიფიქრე! — სახე გა-
უზრუნუნდა აღმასკომის თავმჯდომარე-
ს. — დაჯექ და მისწერე, რომ და-
ვალება ბოწყინვალეთ შევესრულეთ..

— სიტყვები რომ არის? — ყოყმა-
ნობს მდივანი.

— შენ რა გეკითხება, სიტყვები არის
თუ სიმართლე?... გეუბნებიან ასე მის-
წერე, — შენც აიღე და მისწერე... მე
ვარ აქ უფროსი თუ შენ?

* *

მზრას რომ „საიმედო“ პასუხი გა-
ეგზავნა, ამ დროს ნაგომრის აღმას-
კომის თავმჯდომარე თავის ერთგული
კაცებით სოფელში აფთარივით იყო
შეჭრილი სათესლე სიმინდის შესა-
გროვებლად.

— რა? ღარიბი გლეხი ხარ? მერე
და, რატომ არ გამდიდრდი? სიმინდი
ბრ გაქვს? მაგ სიტყვა არ გამაგონო!
დაკაკლე ახლავე!..

800 ფუთი სათესლე სჭიროდა ნა-
გომრის და მხოლოდ 200 ფუთი შე-
აგროვეს.

— დანარჩენებზე ხელწერილი ჩამო-
ართვით! — გასცა ვანკარგულემა აღ-
მასკომის თავმჯდომარემ, — ასე ქნა
ნატუნებმა, ბახვმა და მე რა ნაკლები
ბიჭი ვარ იმაზე?! შეძლებული გლე-
ხი სანდობა... ხელწერილები ჩამოარ-
თვით, რომ სათესლეს ჩაევაბარებენ!
ჩამოართვეს ხელწერილები და გა-
დასცეს თავმჯდომარეს.

— აბა, ესა ხელმეორეთ მისწერე
მზრას — უზრძანა მან თავის მდი-
ვანს, — რომ დავალება ასი პროცენ-
ით შევესრულეთ!

მზრას ხელმეორეთ გაეგზავნა სა-
იმედო ცნობა, წითელ ბელელში კი
„ჩაყარეს“ და ჩაჰკეტეს 600 ფუთის
ხელწერილი.

* *

— თესვის დრო მოვიდა! გაახსენეს
ერთ დღეს თავმჯდომარეს.

— თუ მოვიდა, თქვენც აიღეთ და
დასთესეთ! — გასცა მან ვანკარგუ-
ლება.

— სათესლე რომ არ გეაქვს?
რას ამბობს ესა ნაგომრის აღ-
მასკომის თავმჯდომარე? რას და, არ-
ხეინად არის... ხელწერილები ტყუი-
ლად აქვს წითელ ბელელში? აიღებს
და მათ დასთესას!

ჭეშმარიტად, იშვიათი აგრონომია
ნაგომრის თავმჯდომარე!

ჩიორა.

ეკოს ღახმარებით

შოლტიანო, უნდა ვითხრა
ხალხის კვების საქმე ჩვენში,
თუმცა ვიცი ამის შემდეგ
ჩამოვდებენ უარეს დღეში.
ლიუქსემბურგის ეკოს ჰქონდა
სასადილო მადლიანი,
ორ აბაზათ სადილს ყილდა—
კერძი იყო გვარიანი.
სასადილო ვერ ფარავდა
გაბერილი შტატის ხარჯებს,
და ამიტომ ეკომ იგი
ჩააბარა ვიღაც ჩარჩებს.
ფირმა ისევე ძველი არის,
საქმე კი ვაჭარ-ჩარჩული.
ცხადია, რომ ყოველი ხალხმა
გაისჩილა ჯიბე ფულით.
გლესს გონია ეკოს არის,
ყველაფერზე არის ნიხრი—
ის რა იცის, თუ მის ჯიბით
უსუქდებათ ჩარჩებს ღიბი!
ლიუქსემბურგელი.

საიდუმლო ბარათი

სალამი პირზე კონკრით და ხელის
ჩამორთმევით ჩემს ძმასა და პირის ზია-
რებსაც ვასილ ვალოლა ვას.

როგორა ხარ, რასა იქ კაცო, რამ-
დენი ხანი შენს გზას ექმებოდა, როგორც
იყო ძლივს მოგაგენი. ვასხოვს ის კეთი-
ლი ცხოვრება, მე და შენ ერთად რომ
ვევაჭრობდით. ჰაი გილი, რა ოხერ ფუ-
ლებს ვაკეთებდით!


კაცო გავიგე შენი მოხერხება. ახალ-
სენაკის ინვალიდთა სახადილოს გამე-
ომა ჩავიგდია ხელში. როგორ მისხარიან
რომ იცოდე. მე რომ შენი კეთილი გუ-
ლის ამბავი ვიცი, დახმარების ხელს
გამომიწოდებ. გავაგე სასადილოში მო-
ვიწყვია ჩვენი ძველი მეგობარი ვაჭ-
რები ვანო ხოჭოლავა, მიშა ადამია და
მიხა გუგუნავა. ასე უნდა მაში! ხომ ხე-
დავ ყველა თავის კლასის ინტერესს
იცავს ჩვენ რატომ არ უნდა მივეხმარ-
ოთ ერთიმეორეს!

ეგ კი არა, კაცო, გავიგე შენ სასადი-
ლოში მოგოწყვია შენი ცოლი და სამი
შვილი. მარჯვე ხარ, მე და ჩემმა გამ-
ჩენმა! საცა ამდენ ხალხს აწყობ, იმედი
მაქვს შენს ძველს მეგობარს—მერე რო-
გორმე მომიჭახრაკებ საქმეს.

აბა, შენ იცი. იმედი მექნება. ჩქარა
პასუხი მომწერე.

ჩემი მისამართი. თბილისი.
ჭაჭუ ტოკპორას.

ბიუროკრატების „ბრიგადა“



ესაც „საქმის კაცია“
ესაც თვისვის „გშირია“.
ხუმრობა ხომ არ არის
კაცია „ბრიგადირია“.

ბეჭდავს მხოლოდ მიმართევებს,
არ იცის რას სმარდება.
საქმე თუნდ დაიღუპოს—
ამის არ ეღარდება.

ს რ ჩ ე მ ე ნ ე ბ ი

სოფელ შენიდაში საბჭოს არჩევნები იყო. არჩევნებს თბილისიდან მოსული შეფი დაესწრო.

საბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება მუშაობის შესახებ. მოხსენები საქმიანი და საინტერესო იყო.

გაიმართა კამათი.

— თავმჯდომარე არ გვივარება, აზრად ვერ გაუკეთებია, არაფერს ყურადღებას არ აქცევდა. — სიტყვა ერთმა და მს. მიჰყვენ სხვები.

— ცუდათ არის თავმჯდომარის საქმე, იქნებ პასუხისმგებელიც მისცენ. — ფიქრობს შეფი.

ჯერი მიღვა არჩევნებზე. დაასახე-

ლეს ძველი თემჯდომარე და ყველამ მას მისცა ხმა.

ეს ამბავი ძალიან გაუკვირდა შეფს და გლებებს მიმართა:

— წელან თქვენ მას დაუწუნეთ მუშაობა, გალანძღეთ და მეგონა პასუხისმგებელიც კი მისცემდით, თქვენ კი ესლა ისევე მას ირჩევთ თავმჯდომარეთ, რაშია საქმე?

— არა, შენი ჭირიმე, თქვენ აქაური არა ხართ და კარგათ არ იცნობთ ჩვენს თავმჯდომარეს. ჩვენს სოფელში კი არა, მთელ მაზრაში რომ ეძებოთ, მაგისტთან პატიოსან და საქმის ერთგულ კაცს ვერ იპოვით. — სიტყვა ერთმა.

— მართალია, მართალი! — დაუდასტურეს სხვებმაც.

ამან უფრო გააკვირვა შეფი.

— თუ კი ასეთია, მაშ მთელი დღე რალათ ლინძღავდით და იწუნებდით? ამ კითხვაზე გლებებმა გაიცინეს და უპასუხეს:

— წელიწადში მხოლოდ ერთი დღე შეგვხვდება ხოლმე ასეთი და ამ დღესაც რომ არ გაგლანძლოთ და ასეთი შემთხვევით არ ვისარგებლოთ, მაშ როდისღა...
შვინდელი.

ს ი მ დ ე რ ა

ბრძოლის თემის მესვეურმა.
ზინა

— ეო, მეო
ტრიფონ, დიმიტრო!
დღეს აქანა ფიქიფოთ,
სფაღე იქინიო..
ზეგაც ვინმე დაგვაპტიეფს,
მიხი ჭირიმეო!.

ზავი ჭვა.

შეგავართით სილნალს!

წკრირ... წკრირ... სილნალა, სილნალი! რაო, სილნალია? რაშია საქმე? ათწლედის გამგემ ღარიბ მოწაფეთა ფული გაიმასქნაო? რაო, არწიკობს კიდევ? ეგ არაფერი, შეძლება თუ კი ნებაყოფლობის საფუძველზეა!

ეიზე ამბობთ? მასწავლებელი ქალი შარაბიძე? რაო? როგორ თუ არაყით დაითვრა? თვისვის კამპანიის დროს იყო? მოწაფეები დაემუქრენ გაგამბელოთ? მერე? ნიშნები ვადაუსწორა და აღარ გასცეს? არა უშავს, რაკი ბოლო კეთილი ჰქონია.

რაო, შოლტიანს ეპარტყებთ? სასიამოვნოა, მაგრამ ის უკვე დაუბატიებლად გამოემგზავრა თქვენსკენ. დიამ, დიამ! დღეს-ხვალ მანდ იქნება. დიდი, ძალიან დიდი საჩუქრები წამოიღო სილნალელი მოღვაწეებისათვის... მშვიდობით. ნახვამდის...

გველო.




ცალ მხარეს ჯვართი უძღვია დედელო, ცალ მხარეს დამბაჩით ნამდელი მგელი. ძმური აქტ კავშირი, ჩაუბამთ ხელი. შორს ჩვენგან ორივე მოხისხლე მტერი!

ღრმად დამწუხრებული ლიუქსემბურგის რაიონის გლეხობა იუწყება, რომ მათ დაჰკარგეს საუფარეო და დაუვიწყარი სხსალები. სხსალების ასაშენებელი ტყე, რომელიც ტრადიციულად გარდაიცვალა რაიონისკომის ინჟინერ სეგმანოვის წყალობით.

განსვენებული გვამის განცევთა და შემოწმება მოხდება მუშგლეხინის წარმომადგენლის ჩამოსვლის დროს.

ჯან.ტიკო.

ვინ არის ასეთი ჩვენს უმღრის?



ხედავთ, „იბრძვიან“
 იარაღს ლეხვენ!
 ხხვა თუ ხვნაშია,
 ესენიც „სთესვენ“!?

ოფლს რომ იღენენ—
 მიწის გულს ატანს.
 ხარებთან ერთად
 ათრევენ ჭაბანს!

ჩვენი უმღბა

ხახულის, თქვენს გამოცანას დიდი გამოცანა არ სჭირდება: ამოცანას მოგახსენებთ, ზღვრი არაფერიაო. ჩვენს ეპოში ნოქარი ზის არ გეგონათ შტერიაო. საქონელი სახლში მიაქვს, მისთვის ასე სწერიაო. მერე იცით ნამდვდლარიაო. თხას მთუგავს წვერიაო... აქ გამოსაცნობია მხოლოდ სოფელი, სად ხდება ეს ამბები, ვინ არის ეს თქვენი ნამდვდლარი ნოქარი, ან ვინ უწევს მას მღარველობას. თქვენ ეს გვიცნობეთ. მისი ღირსეულად დაჯილდოვება ჩვენი ვალდებულებაა.

ანკეტი

გზარი — მკედლიძე
თანამდებობა — ბოსლევის კოლექტივის სარევიზიო კომისიის წევრი.
ხელობა — წარსულში ღვდელი. როცა ღვდლობა სახეირო აღარ შეიქნა, ვარაზდინით შევისწავლე ძველი ხერხები თუ როგორ ვავსწიო ინტრიგანობა, კორიკანობა, გაიძვერობა და ვლენების ერთი მიორეზე გადაკიდება.

დამსახურება — მაქვს დამსახურება წინაშე ღვთისა და წინაშე ერისა. უკანასკნელი დამსახურების ნიშნით მათ ესეც კმარა: კოლექტივის წევრები ისე მივასიან ერთმანეთს, რომ კილამ განხეთქილება ჩამოვარდა მათ შორის.
მიმართულება — შორს აღმასკომიდან.
 ბეკო.